

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია



სასწავლო ბატალიონი

„იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემა“

2019 წელი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) მისიის მხარდაჭერ სახელმძღვანელოს.

„აკადემიის მისიას წარმოადგენს თავდაცვის ძალების და ქვეყნის ერთგული, სამსახურისთვის ღირსეული, უმაღლესი აკადემიური და სამხედრო განათლების, მაღალი ეთიკის, მტკიცე მორალის და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერთა კორპუსის მომზადება“.

აღნიშნული მისიის წარმატებით განსახორციელებლად აკადემიის სასწავლო ბატალიონში შემუშავებულია „იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემა“, რომელიც ხელს უწყობს იუნკერის მხედრული დისციპლინის განმტკიცებას, მისი ფიზიკური მომზადების დონის ამაღლებასა და ლიდერის თვისებების ჩამოყალიბების პროცესს.

მუხლი 1. „იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ მიზანი

„იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ მიზანია აკადემიაში სწავლის პერიოდში იუნკერებმა გამოიმუშაონ მცირე ზომის ქვედანაყოფის მართვისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

მუხლი 2. „იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ შედეგები

აკადემიის კურსდამთავრებული შეძლებს:

ა) მასზე დაკისრებული მოვალეობის, ბრძანებების, დავალებების და მითითებების ზუსტად და ზედმიწევნით შესრულებას;

ბ) მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრას, სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და წარმატებით აღსრულებას;

გ) პირად შემადგენლობასთან სათანადო ავტორიტეტის მოპოვებას;

დ) ბრძანების გაცემასა და მისი შესრულების კონტროლს;

ე) ადეკვატური, გასაგები და დროული გადაწყვეტილების მიღებას;

ვ) რაციონალური ინიციატივის გამოჩენას;

ზ) საკუთარი აზრების ნათლად და გარკვევით ჩამოყალიბებას;

თ) საკუთარ გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებზე პასუხისმგებლობის აღებას.

მუხლი 3. აქტუალობა

აკადემიაში „იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ შექმნა გამოწვეულია იუნკერის მიერ მცირე ზომის ქვედანაყოფში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების მიღების აუცილებლობით. ყოველმა იუნკერმა საკუთარ თავზე უნდა გამოსცადოს როგორც რიგითი სამხედრო მოსამსახურის, ისე ათეულისა და ოცეულის დონის ქვედანაყოფის მეთაურის რანგში ყოფნის ყველა სირთულე და გამოწვევა.

„იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემა“ იუნკერებს აძლევს საშუალებას, აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების ათვისების პარალელურად შეიძინონ დაქვემდებარებულ პირად შემადგენლობასთან და ზემდგომ მეთაურებთან მუშაობის ის პრაქტიკული გამოცდილება, რომელსაც აკადემიაში სწავლის დასრულების შემდეგ საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებში სამსახურის პერიოდში გამოიყენებენ.

მუხლი 4. ძალისხმევის საზღვრი

აკადემიაში ჩარიცხვა

საწყისი საბრძოლო მომზადება

სამოქალაქო პირის გარდაქმნა სამხედრო მოსამსახურედ

საწყისი საბრძოლო მომზადება

I კურსი

II კურსი

იუნკერის ჩამოყალიბება რიგით სამხედრო მოსამსახურედ

II კურსი

III კურსი

იუნკერის ჩამოყალიბება ათეულის დონის ქვედანაყოფის მეთაურად

III კურსი

IV კურსი

იუნკერის ჩამოყალიბება ოცეულის დონის ქვედანაყოფის მეთაურად

მუხლი 5. რისკები და მათი შემცირების გზები

„იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ განხორციელების უმთავრეს რისკებს წარმოადგენს მასში ჩართული პირადი შემადგენლობის მიერ „იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ არასწორი ინტერპრეტაცია და შეფასების სუბიექტურობა. სწორედ ამიტომ სასწავლო ბატალიონისა და იუნკერთა კურსების ხელმძღვანელობამ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს „იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ განხორციელებაში ჩართული ყველა იუნკერის, სერჟანტისა და ოფიცრის მიერ მისი სწორად აღქმა, გააზრება და გაანალიზება. პერიოდულად უნდა შედგეს იუნკერთა კურსების ხელმძღვანელი პირების შეხვედრა იუნკერებთან, სასწავლო ბატალიონის სამსახურებთან და აკადემიის სტრუქტურულ ერთეულებთან არსებული დოკუმენტების გაცნობისა და განხილვის მიზნით. საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს „იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემაში“ ცვლილებებისა და შესწორებების შეტანა.

მუხლი 6. „ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ კომპონენტები

„იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ განხორციელებას უზრუნველყოფს მისი კომპონენტები - პროგრამები, სახელმძღვანელო დოკუმენტები და პროცედურები, რომლებიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ „იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ ცალკეულ ასპექტებზე.

ცვლად გარემოში ადაპტირების მიზნით, მიზანშეწონილია ზემოთ აღნიშნული პროგრამების, სახელმძღვანელოებისა და პროცედურების პერიოდული განახლება, რაც „იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემას“ უფრო მოქნილს და არსებულ პირობებთან თავსებადს გახდის.

„იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ კომპონენტებია:

- 1) იუნკერის ცხოვრების გზა;
- 2) დროებითი შტატის სამეთაურო თანამდებობებზე იუნკერების შერჩევისა და დანიშვნის პროცედურები;
- 3) დროებით შტატზე დანიშნულ იუნკერთა ფუნქციონალური მოვალეობები;
- 4) იუნკერთა ფიზიკური მომზადების ჩატარების პროგრამა;
- 5) მარშების განხორციელების პროგრამა;
- 6) იუნკერთა სამწყობრო მომზადების ჩატარების პროგრამა;
- 7) დროებით შტატზე დანიშნული იუნკერების შეფასების სახელმძღვანელო.

მუხლი 7. იუნკერის ლიდერობის საერთო შეფასება

1. იუნკერის ლიდერობის შეფასება განხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოს **იუნკერთა ლიდერობის საერთო შეფასების ბარათის** საშუალებით (დანართი 1). იუნკერის ლიდერობის საერთო შეფასების ქულა შეტანილი იქნება **იუნკერის სემესტრული რეიტინგული ქულის** გამოსათვლელ ფორმულაში;

2. სემესტრის განმავლობაში იუნკერი შეფასდება ორჯერ დროებით შტატზე ყოფნის პერიოდში და ამ ორი შეფასების საშუალო არითმეტიკული ჯამი შევა იუნკერთა ლიდერობის საერთო შეფასების ბარათის გრაფაში **„დროებით შტატზე დანიშნული იუნკერის შეფასება“**;

2.1. იუნკერის სემესტრის განმავლობაში დარჩენილი დისციპლინური საკრედიტო ქულა შევა იუნკერთა ლიდერობის საერთო შეფასების ბარათის გრაფაში **„დისციპლინის შეფასება“**;

2.2. სემესტრის განმავლობაში იუნკერი მონაწილეობას მიიღებს 6 (ექვსი) ადმინისტრაციულ მარშში (შემდგომში - მარში). თითოეული მარში შეფასდება და მარშების საბოლოო შეფასება აისახება იუნკერთა ლიდერობის საერთო შეფასების ბარათის გრაფაში **„მარშების შეფასება“**;

2.3 **ლიდერობის საერთო შეფასების ქულა** გამოითვლება შემდეგი ფორმულით: **დროებით შტატზე დანიშნული იუნკერის შეფასების** ქულისა და მისი კოეფიციენტის (0.40) ნამრავლს დამატებული **დისციპლინის შეფასების** ქულისა და მისი კოეფიციენტის (0.30) ნამრავლი და დამატებული **მარშების შეფასების** ქულისა და მისი კოეფიციენტის (0.30) ნამრავლი.

3. თუ იუნკერი არ ეთანხმება მისი შეფასების შედეგს, ის წერილობით მიმართავს ზემდგომ ხელმძღვანელობას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

იუნკერთა ლიდერობის საერთო შეფასების ბარათი

N	წოდება	სახელი, მამის სახელი და გვარი	პროცენტით შეფასებული იუნკერის შეფასება		დისკალინის შეფასება		მარშების შეფასება		ლიდერობის საერთო შეფასების ქულა	იუნკერის ხელმოწერა ა გაცნობაზე	პენიშენა
			ქულა	X 0.40	ქულა	X 0.3	ქულა	X 0.30			
1											
2											
3											
4											
5											
6											
7											
8											
9											
10											
11											
12											
13											
14											
15											

კურსის უფროსის ხელმოწერა: -----

თარიღი: /----/----/-----/
(დღე/თვე/წელი)

„იუნკერის ცხოვრების გზა“

2019 წელი

მუხლი 1. იუნკერის ცხოვრების გზა

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვიდან აკადემიაში სწავლის დამთავრებამდე იუნკერი გადის გარკვეულ ეტაპებს, რომელსაც „იუნკერის ცხოვრების გზა“ ეწოდება.

მუხლი 2. იუნკერის ცხოვრების გზის ეტაპები

ა) I ეტაპი - I კურსი.

ბ) II ეტაპი - II კურსი.

გ) III ეტაპი - III კურსი.

დ) IV ეტაპი - IV კურსი.

მუხლი 3. I ეტაპი - I კურსი

ა) I კურსზე ჩარიცხვისთანავე იუნკერები გაივლიან საწყისი საბრძოლო მომზადების კურსს. საწყისი საბრძოლო მომზადების კურსზე აკადემიაში ახლადჩარიცხული სამოქალაქო პირი გარდაიქმნება სამხედრო მოსამსახურედ. კურსის პერიოდში ხდება იუნკერის ფიზიკური ამტანობის, მძიმე სტრესულ სიტუაციაში ემოციური მდგრადობისა და ბაზისური სამხედრო უნარების განვითარება, მასში სამხედრო დისციპლინის ჩამოყალიბება და იმ გამოწვევებისთვის მომზადება, რომელიც მას საქართველოს თავდაცვის ძალების სისტემაში სამსახურის პერიოდში შეხვდება. საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის გავლის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იუნკერის ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.

საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის მიმდინარეობისას იუნკერები დათხოვნით არ სარგებლობენ.

ბ) საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის დასრულების შემდეგ იუნკერები „იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ ფარგლებში ინიშნებიან ღროებით შტატზე I კურსის იუნკერებად.

I კურსის იუნკერები საბაკალავრო პროგრამებთან ერთად სწავლობენ საერთო-საჯარისო მართვას, სადაც ინდივიდუალურ დონეზე თეორიულად და პრაქტიკულად, საველე პირობებში, ეუფლებიან სამხედრო საქმეს.

აკადემიის ბაზაზე ყოფნის პერიოდში I კურსის იუნკერებს ყოველდღიურად უწევთ მონაწილეობის მიღება დილის გამამხნეველ ვარჯიშსა და შუადღის ფიზიკურ მომზადებაში/სპორტულ სექციაში. I კურსის ყველა უნკერისთვის სავალდებულოა ცურვისა და ხელჩართული ბრძოლის სექცია.

I კურსის იუნკერებს ქვეყნის შიგნით (აკადემიის ხელმძღვანელობის გადანყვეტილებით - ქვეყნის გარეთ) შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის სპორტულ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო აქტივობებსა და სამეცნიერო კონფერენციებში.

მუხლი 5. II ეტაპი - II კურსი

I კურსის დასრულების შემდეგ იუნკერები ირიცხებიან II კურსზე და „იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ ფარგლებში ინიშნებიან II კურსის იუნკერებად.

II კურსის იუნკერები საბაკალავრო პროგრამებთან ერთად სწავლობენ საერთო-საჯარისო მართვას - თეორიულად, საკლასო აუდიტორიებში და პრაქტიკულად, საველე პირობებში, ეუფლებიან სამხედრო საქმეს.

აკადემიის ბაზაზე ყოფნის პერიოდში II კურსის იუნკერებს ყოველდღიურად უწევთ მონაწილეობის მიღება დილის გამამხნეველ ვარჯიშსა და შუადღის ფიზიკურ მომზადებაში/სპორტულ სექციაში. II კურსის ყველა იუნკერისთვის სავალდებულოა ცურვისა და ხელჩართული ბრძოლის სექცია.

II კურსის იუნკერებს ქვეყნის შიგნით (აკადემიის ხელმძღვანელობის გადანყვეტილებით - ქვეყნის გარეთ) შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის სპორტულ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო აქტივობებსა და სამეცნიერო კონფერენციებში.

მუხლი 6. III ეტაპი - III კურსი

II კურსის დასრულების შემდეგ იუნკერი ირიცხება III კურსზე. III კურსის იუნკერები „იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ ფარგლებში ინიშნებიან III კურსის დროებითი შტატის იუნკერებად ან ათეულის მეთაურებად სასწავლო ბატალიონის I, II, და III კურსზე.

III კურსის იუნკერები საბაკალავრო პროგრამებთან ერთად სწავლობენ საერთო-საჯარისო მართვას - თეორიულად, საკლასო აუდიტორიებში და პრაქტიკულად, საველე პირობებში, ეუფლებიან სამხედრო საქმეს.

აკადემიის ბაზაზე ყოფნის პერიოდში III კურსის იუნკერებს ყოველდღიურად უწევთ მონაწილეობის მიღება შუადღის ფიზიკურ მომზადებაში/სპორტულ სექციაში. III კურსის იუნკერებს შეუძლიათ თავად აირჩიონ სპორტული სექცია/სექციები.

III კურსის იუნკერებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის სპორტულ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო აქტივობებსა და სამეცნიერო კონფერენციებში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

მუხლი 7. IV ეტაპი - IV კურსი

III კურსის დასრულების შემდეგ იუნკერი ირიცხება IV კურსზე. IV კურსის იუნკერები „იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ ფარგლებში ინიშნებიან IV კურსის დროებითი შტატის იუნკერებად/ათეულის მეთაურებად ან სასწავლო ბატალიონის I, II, III და IV კურსზე ოცეულის და ასეულის დონის სამეთაურო თანამდებობებზე.

IV კურსის იუნკერები საბაკალავრო პროგრამებთან ერთად სწავლობენ საერთო-საჯარისო მართვას - თეორიულად, საკლასო აუდიტორიებში და პრაქტიკულად, საველე პირობებში, ეუფლებიან სამხედრო საქმეს.

აკადემიის ბაზაზე ყოფნის პერიოდში IV კურსის იუნკერებს ყოველდღიურად უწევთ მონაწილეობის მიღება შუადღის ფიზიკურ მომზადებაში/სპორტულ სექციაში. IV კურსის იუნკერებს შეუძლიათ აირჩიონ სპორტული სექცია/სექციები სურვილისამებრ.

IV კურსის იუნკერებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის სპორტულ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო აქტივობებსა და სამეცნიერო კონფერენციებში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

მუხლი 8. საერთო ღონისძიებები

1. სასწავლო წლის განმავლობაში იუნკერები „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეების ფიზიკური ნორმატივებისა და მათი ჩაბარების წესის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 9 იანვრის N02 ბრძანების საფუძველზე ორჯერ აბარებენ ფიზიკურ ნორმატივებს.

2. იუნკერები მონაწილეობას იღებენ შესაბამისი გეგმებით გაწერილ ადმინისტრაციულ მარშებში.

3. საწყისი საბრძოლო მომზადების დასრულების შემდეგ იუნკერებს დასვენებისათვის ეძლევათ კვირაში არანაკლებ ერთი დღე, სასწავლო გეგმის შესაბამისად.

4. თვეში ერთხელ, აკადემიის საგამოცდო ცენტრის მიერ იუნკერთა აკადემიური მოსწრების, დისციპლინის, ფიზიკური მომზადებისა და დროებით შტატზე ყოფნის პერიოდში მიღებული შეფასების გათვალისწინებით, შედგება **იუნკერთა ყოველთვიური რეიტინგი**.

5. იუნკერთა ყოველთვიური რეიტინგის საფუძველზე იუნკერები გადანაწილდებიან შესაბამის კატეგორიებად და ისარგებლებენ დათხოვნით ცხრილი N1 და ცხრილი N2 - ის შესაბამისად.

ცხრილი 1. ყოველდღიური დათხოვნა

I კურსი		
არ სარგებლობს ყოველდღიური დათხოვნით		
II კურსი		
I კატეგორია 80-100 ქულა	II კატეგორია 65-79 ქულა	III კატეგორია 0-64 ქულა
კვირაში 2 დღე	კვირაში 1 დღე	არ სარგებლობს ყოველდღიური დათხოვნით
III კურსი		
I კატეგორია 80-100 ქულა	II კატეგორია 65-79 ქულა	III კატეგორია 0-64 ქულა
ყოველდღიურად		კვირაში 2 დღე
IV კურსი		
I კატეგორია 80-100 ქულა	II კატეგორია 65-79 ქულა	III კატეგორია 0-64 ქულა
ყოველდღიურად		კვირაში 2 დღე

ცხრილი 2. შაბათ-კვირის დათხოვნა

I კურსი					
I კატეგორია 80-100 ქულა		II კატეგორია 65-79 ქულა		III კატეგორია 0-64 ქულა	
დათხოვნა	პარასკევი 14:00	დათხოვნა	პარასკევი 15:00	დათხოვნა	პარასკევი 16:00
დაბრუნება	ორშაბათი 08:00	დაბრუნება	ორშაბათი 08:00	დაბრუნება	ორშაბათი 08:00
II კურსი					
I კატეგორია 80-100 ქულა		II კატეგორია 65-79 ქულა		III კატეგორია 0-64 ქულა	
დათხოვნა	პარასკევი 14:00	დათხოვნა	პარასკევი 15:00	დათხოვნა	პარასკევი 16:00
დაბრუნება	ორშაბათი 08:00	დაბრუნება	ორშაბათი 08:00	დაბრუნება	ორშაბათი 08:00
III კურსი					
I კატეგორია 80-100 ქულა		II კატეგორია 65-79 ქულა		III კატეგორია 0-64 ქულა	
დათხოვნა	პარასკევი 14:00	დათხოვნა	პარასკევი 15:00	დათხოვნა	პარასკევი 16:00
დაბრუნება	ორშაბათი 08:00	დაბრუნება	ორშაბათი 08:00	დაბრუნება	ორშაბათი 08:00
IV კურსი					
I კატეგორია 80-100 ქულა		II კატეგორია 65-79 ქულა		III კატეგორია 0-64 ქულა	
დათხოვნა	პარასკევი 14:00	დათხოვნა	პარასკევი 15:00	დათხოვნა	პარასკევი 16:00
დაბრუნება	ორშაბათი 08:00	დაბრუნება	ორშაბათი 08:00	დაბრუნება	ორშაბათი 08:00

დროებითი შტატის სამეთაურო თანამდებობებზე იუნკერების შერჩევისა და დანიშვნის პროცედურები

2019 წელი

წინასიტყვაობა

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) სასწავლო ბატალიონის იუნკერების (შემდგომში - იუნკერი) დროებითი შტატის სამეთაურო თანამდებობებზე დანიშვნის პროცედურები.

მუხლი 1. დროებითი შტატის სამეთაურო თანამდებობები

1. „იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ ეფექტური განხორციელებისთვის სასწავლო ბატალიონის იუნკერთა პირადი შემადგენლობა დროებითი შტატის მიხედვით გადანაწილებულია ოთხ ასეულში. იუნკერთა I, II, III და IV კურსის პირადი შემადგენლობა, შესაბამისად, წარმოადგენს I, II, III და IV ასეულებს. ასეულები შედგება ოცეულებისგან, ხოლო ოცეულები - ათეულებისგან. ასეულებში ოცეულების და ოცეულებში ათეულების რაოდენობა განისაზღვრება იუნკერთა პირადი შემადგენლობის რაოდენობის მიხედვით.
2. იუნკერები ინიშნებიან დროებითი შტატის შემდეგ სამეთაურო თანამდებობებზე:
 - ა) იუნკერი ასეულის მეთაური;
 - ბ) იუნკერი ასეულის მეთაურის მოადგილე;
 - გ) იუნკერი ასეულის სერჟანტი;
 - დ) იუნკერი ოცეულის მეთაური;
 - ე) იუნკერი ოცეულის სერჟანტი;
 - ვ) იუნკერი ათეულის მეთაური.
3. ასეულის მეთაურად, იუნკერი ასეულის მეთაურის მოადგილედ და იუნკერი ასეულის სერჟანტად იუნკერთა შერჩევა ხდება სემესტრში ერთხელ, ხოლო იუნკერი ოცეულის მეთაურის, იუნკერი ოცეულის სერჟანტისა და იუნკერი ათეულის მეთაურის - სემესტრში ორჯერ. იუნკერი ოცეულის მეთაურის, იუნკერი ოცეულის სერჟანტისა და იუნკერი ათეულის მეთაურის შტატზე ეტაპობრივად ინიშნება ყველა იუნკერი, სამშატო თანამდებობებზე.

3. დროებითი შტატის ასეულის დონის სამეთაურო თანამდებობებზე დანიშვნის კრიტერიუმები:

- ა) სადისციპლინო საკრედიტო ქულა: 80-100;
- ბ) აკადემიური მოსწრების საშუალო შეწონილი ქულა: 70-100;
- გ) სამხედრო საქმის ქულა: 70 – 100;
- დ) იუნკერის ლიდერობის საერთო შეფასება: 70-100;
- ე) ფიზიკური მომზადების ქულა: 240-300;

მუხლი 4. შერჩევის პროცედურები

1. სასწავლო სემესტრის დაწყებამდე არანაკლებ 2 (ორი) კვირით ადრე აკადემიის ელექტრონულ პლატფორმა „ILIAS“-ში აიტვირთება დროებითი შტატის სამეთაურო თანამდებობები, დროებითი შტატის სამეთაურო თანამდებობების ფუნქციონალური მოვალეობები და დროებითი შტატის სამეთაურო თანამდებობაზე დანიშვნის განაცხადის ფორმა (დანართი N 1).

2. ის იუნკერები, რომლებიც აკმაყოფილებენ დროებითი შტატის სამეთაურო თანამდებობაზე დანიშვნის კრიტერიუმებს, შეირჩევიან იუნკერების დროებითი შტატის სამეთაურო თანამდებობებზე შერჩევის ჯგუფის (შემდეგში - შერჩევის ჯგუფის) მიერ.

3. შერჩევის ჯგუფის შემადგენლობა

3.1 შერჩევის ჯგუფის ხელმძღვანელი - სასწავლო ბატალიონის მეთაური;

3.2 შერჩევის ჯგუფის წევრები:

ა) სასწავლო ბატალიონის სერჟანტი;

ბ) სასწავლო ბატალიონის იუნკერთა I კურსის უფროსი;

გ) სასწავლო ბატალიონის იუნკერთა II კურსის უფროსი;

დ) სასწავლო ბატალიონის იუნკერთა III კურსის უფროსი;

ე) სასწავლო ბატალიონის იუნკერთა IV კურსის უფროსი;

ვ) სასწავლო ბატალიონის იუნკერთა I კურსის სერჟანტი;

ზ) სასწავლო ბატალიონის იუნკერთა II კურსის სერჟანტი;

თ) სასწავლო ბატალიონის იუნკერთა III კურსის სერჟანტი;

ი) სასწავლო ბატალიონის იუნკერთა IV კურსის სერჟანტი;

4. სასწავლო ბატალიონის პირად შემადგენლობასთან მუშაობის უფროსი ოფიცერი/სერჟანტი შერჩევის ჯგუფს წარუდგენს დროებითი შტატის სამეთაურო თანამდებობებზე დანიშვნის კანდიდატებს და მათი აკადემიური მოსწრების, სამხედრო საქმის, ფიზიკური მომზადების, იუნკერის ლიდერობის საერთო შეფასების შედეგებსა და სადისციპლინო საკრედიტო ქულებს.

5. შერჩევის ჯგუფი განიხილავს თითოეულ კანდიდატს და ღია არჩევის წესით შეარჩევს მათ დროებითი შტატის სამეთაურო თანამდებობებზე. შერჩევის ჯგუფის თითოეული წევრი სარგებლობს მხოლოდ ერთი ხმის უფლებით. თანაბარი ხმების დაგროვების შემთხვევაში გადანყვეტილებას იღებს შერჩევის ჯგუფის ხელმძღვანელი.

6. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი კანდიდატი არ აკმაყოფილებს დროებით შტატის სამეთაურო თანამდებობაზე დანიშვნის რომელიმე კრიტერიუმს, შერჩევის ჯგუფის ხელმძღვანელის გადანყვეტილებით, დასაშვებია მისი კანდიდატურის განხილვა და დროებით შტატის სამეთაურო თანამდებობაზე წარდგენა.

7. დროებით შტატის სამეთაურო თანამდებობაზე შერჩეული იუნკერების დასანიშნად წარდგინება ხდება სასწავლო ბატალიონის მეთაურის პატაკის საფუძველზე.

8. დროებითი შტატის სამეთაურო თანამდებობებზე იუნკერების დანიშვნის გადანყვეტილება მიიღება აკადემიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 5. კონსულტაციები და შეფასებები

1. **კონსულტაციები:** იუნკერებს დანიშვნის დღიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში უტარდება საწყისი კონსულტაციები, რომლის დროსაც კურსის ხელმძღვანელობა მათ უსახავს ამოცანებს და აძლევს მიმართულებას. დროებით თანამდებობაზე ყოფნის ვადის ამოწურვის

შემდეგ იუნკერს უტარდება დასკვნითი კონსულტაცია, სადაც განხილული იქნება შესრულებული და შეუსრულებული ამოცანები.

2. შეფასება: დროებით თანამდებობაზე ყოფნის ვადის ამოწურვის შემდეგ იუნკერის შეფასება ხორციელდება დროებით შტატზე დანიშნული იუნკერების შეფასების სახელმძღვანელოს შესაბამისად.

მუხლი 6. იუნკერის დროებითი შტატის სამეთაურო თანამდებობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლება

იუნკერის დროებითი შტატის სამეთაურო თანამდებობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლება ხდება:

ა) იუნკერის მხრიდან სამხედრო მოსამსახურისათვის შეუფერებელი უღირსი საქციელის ჩადენის შემთხვევაში;

ბ) დასაბუთებული საპატიო მიზეზით;

იუნკერის დროებითი შტატის სამეთაურო თანამდებობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლების შემთხვევაში, მას გაუნუღდება დროებით შტატზე დანიშნული იუნკერების შეფასების ქულა, გარდა ამ მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

სსიპ - დავით აღმაშენებლის
სახელობის საქართველო
ეროვნული თავდაცვის აკადემია



სასწავლო ბატალიონი

დროებითი შტატის სამეთაურო თანამდებობაზე დანიშვნის განაცხადი

სახელი, მამის სახელი, გვარი :

კურსი:

დაბადების თარიღი:

დაკავებული თანამდებობები :

1.

2.

სასურველი თანამდებობები:

1. ძირითადი არჩევანი:

2. მეორადი არჩევანი:

3. დამატებითი არჩევანი :

სამოტივაციო წერილი

დროებით შტატზე დანიშნულ იუნკერთა ფუნქციონალური მოვალეობები

2019 წელი

დანართი N 1

„დამტკიცებულია“

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის

„___“ „_____“ 2019 წ. N _____ ბრძანებით

**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
სასწავლო ბატალიონის დროებითი შტატის იუნკერი ასეულის მეთაურის
ფუნქციონალური მოვალეობები**

ა) ძირითადი ფუნქციონალური მოვალეობები:

- ასეულის მართვა კურსის უფროსის მოთხოვნების შესაბამისად;
- კურსის უფროსისათვის დროული და ზუსტი სურათის მიწოდება ასეულში არსებული მდგომარეობის შესახებ;
- იუნკერი ოცეულის მეთაურების მართვის კონტროლი;
- ასეულში წესრიგისა და დისციპლინის დაცვა;
- ასეულში დილით ადგომასა და საღამოს შემოწმებაზე პერიოდულად დასწრება;
- ასეულის პირადი შემადგენლობის საქმიანობის, მორალური თვისებების, აგრეთვე ასეულის თითოეული იუნკერის სახელის, გვარის და ოჯახური მდგომარეობის ცოდნა;
- იუნკერთა მიერ სამხედრო ფორმის ტარების წესის, გარეგნული იერისა და პირადი ჰიგიენის წესების დაცვის კონტროლი;
- ასეულისათვის გამოყოფილი ყველა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების მოვლის, სწორი ექსპლუატაციისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების კონტროლი;
- პირადი შემადგენლობის სტატუსის ცოდნა.

ბ) იუნკერი ასეულის მეთაური პასუხისმგებელია :

- იუნკერთა ასეულზე დასმული დავალებების (ამოცანების) შესრულებასა და კონტროლზე;
- ასეულის იუნკერების მიერ ფუნქციონალური მოვალეობის შესრულების კონტროლზე;

- ასეულში წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და წესების შესრულების კონტროლზე;
- ასეულში დღის განრიგის დაცვის კონტროლზე;

გ) ასეულის მეთაური ვალდებულია:

- მუდმივად ფლობდეს ინფორმაციას ერთი ეპელონით დაქვემდებარებული ქვედანაყოფების ადგილსამყოფელისა და მათი საქმიანობის შესახებ;
- გააკონტროლოს თუ როგორ ასრულებენ დროებითი შტატის სამეთაურო თანამდებობაზე დანიშნული იუნკერები დაკისრებულ მოვალეობას;
- საჭიროების მიხედვით კონსულტაცია გაუწიოს დაქვემდებარებულ პირად შემადგენლობას;
- ასეულში მომხდარი ყველა შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ მოახსენოს კურსის უფროსს.

დ) დამატებითი ფუნქციონალური მოვალეობები:

- არ აქვს.

„დამტკიცებულია“

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის

„___“ „_____“ 2019 წ. N _____ ბრძანებით

**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
სასწავლო ბატალიონის დროებითი შტატის იუნკერი ასეულის მეთაურის მოადგილის
ფუნქციონალური მოვალეობები**

ა) ძირითადი ფუნქციონალური მოვალეობები:

- ასეულში ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარება;
- სამხედრო დისციპლინისა და შინაგანი წესრიგის დაცვის კონტროლი ასეულში;
- ასეულში დილით ადგომასა და საღამოს შემოწმებაზე პერიოდულად დასწრება;

ბ) იუნკერი ასეულის მეთაურის მოადგილე პასუხისმგებელია:

- ასეულში სამხედრო წესდებებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების კონტროლზე;
- ასეულში დღის განრიგის დაცვის კონტროლზე;
- ასეულში დანაშაულისა და სხვა შემთხვევების თავიდან ასაცილებლად შესაბამისი ზომების მიღებაზე;

გ) იუნკერი ასეულის მეთაურის მოადგილე ვალდებულია:

- მუდმივად ფლობდეს ინფორმაციას ერთი ეშელონით დაქვემდებარებული ქვედანაყოფების ადგილსამყოფელისა და მათი საქმიანობის შესახებ;
- გააკონტროლოს თუ როგორ ასრულებენ დროებითი შტატის სამეთაურო თანამდებობაზე დანიშნული იუნკერები დაკისრებულ მოვალეობას;
- კურსის უფროსის მოადგილესთან იქონიოს ყოველდღიური კოორდინაცია.
- ასეულში მომხდარი ყველა შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ მოახსენოს იუნკერ ასეულის მეთაურს.

დ) დამატებითი ფუნქციონალური მოვალეობები:

- იუნკერი ასეულის მეთაურის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შესრულება.

„დამტკიცებულია“

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის

„___“ „_____“ 2019 წ. N _____ ბრძანებით

**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
სასწავლო ბატალიონის დროებითი შტატის იუნკერი ასეულის სერჟანტის
ფუნქციონალური მოვალეობები**

ა) ძირითადი ფუნქციონალური მოვალეობები:

- იცნობდეს ასეულის ყველა იუნკერს, იცოდეს მათი პირადი თვისებები და ოჯახური მდგომარეობა;
- უხელმძღვანელოს დილის დათვალიერებას და პერიოდულად დაესწროს საღამოს შემოწმებას;
- განლაგებიდან დათხოვნისას შეამოწმოს პირადი შემადგენლობა, დააზუსტოს გამოძახების საშუალებები, იციან თუ არა საზოგადოებრივ ადგილებში ქცევის წესები და დაბრუნების ვადები;
- ასეულის საცხოვრებელ და სასწავლო კორპუსებში სისუფთავის და წესრიგის დაცვის კონტროლი;
- მუდმივ კოორდინაციაში იმყოფებოდეს კურსის სერჟანტთან და სასწავლო ბატალიონის სერჟანტთან;
- ფლობდეს ინფორმაციას ასეულში დღის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ბ) იუნკერი ასეულის სერჟანტი პასუხისმგებელია:

- ასეულის პირადი შემადგენლობის მიერ სამხედრო დისციპლინის დაცვის კონტროლზე;
- ზემდგომი მეთაურების მიერ დაკისრებული დავალებების შესრულებაზე;
- ასეულის პირადი შემადგენლობის მიერ სამხედრო წესდებების, ეროვნული თავდაცვის აკადემიისა და ბატალიონის შიდა რეგულაციების განუხრელად დაცვაზე;
- იუნკერთა მიერ სამხედრო ფორმის ტარების წესის, გარეგნული იერისა და პირადი ჰიგიენის წესების დაცვაზე;
- იუნკერთა მიერ დღის განრიგის შესრულებაზე;

გ) იუნკერი ასეულის სერჟანტი ვალდებულია:

- კონტროლი გაუწიოს ასეულში ფიზიკური მომზადების ჩატარებასა და სპორტული აქტივობების განხორციელებას;
- საჭიროების შემთხვევაში დახმარება გაუწიოს ასეულის იუნკერ ოცეულის სერჟანტებს დავალებების ხარისხიანად შესრულებისთვის.
- იუნკერ ასეულის მეთაურთან კოორდინაციით კონტროლი გაუწიოს ასეულში დაგეგმილ ღონისძიებებსა და აქტივობებს;
- ასეულში მომხდარი ყველა შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ მოახსენოს იუნკერ ასეულის მეთაურს და კურსის სერჟანტს;

დ) დამატებითი ფუნქციონალური მოვალეობები:

- არ აქვს.

„დამტკიცებულია“

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის

„___“ „_____“ 2019 წ. N _____ ბრძანებით

**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
სასწავლო ბატალიონის დროებითი შტატის იუნკერი ოცეულის მეთაურის
ფუნქციონალური მოვალეობები**

ა) ძირითადი ფუნქციონალური მოვალეობები:

- იცოდეს ოცეულის ყველა იუნკერის სახელი გვარი, დაბადების წელი, ოჯახური მდგომარეობა, წარმატებები და ნაკლოვანებები საბრძოლო მომზადებაში;
- თვალყური ადევნოს პირადი შემადგენლობის მიერ სამხედრო დისციპლინის დაცვას;
- აკონტროლოს იუნკერთა გარეგანი იერი და სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ტარების წესების დაცვა;
- მოახსენოს იუნკერ ასეულის მეთაურს დაქვემდებარებულთა პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ;
- პერიოდულად დაესწროს ოცეულში დილის ადგომასა და საღამოს შემოწმებას;

ბ) იუნკერი ოცეულის მეთაური პასუხისმგებელია :

- ოცეულის წინაშე დასმული დავალებების (ამოცანების) შესრულებასა და კონტროლზე;
- ოცეულის იუნკერების მიერ ფუნქციონალური მოვალეობის შესრულების კონტროლზე;
- ოცეულში სამხედრო წესდებებით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და წესების დაცვის კონტროლზე;
- ოცეულში დღის განრიგის შესრულების კონტროლზე;
- ოცეულში დანაშაულისა და სხვა შემთხვევების თავიდან ასაცილებლად შესაბამისი ზომების მიღებაზე;

გ) იუნკერი ოცეულის მეთაური ვალდებულია:

- მუდმივად ფლობდეს ინფორმაციას ერთი ეშელონით დაქვემდებარებული ქვედანაყოფების ადგილსამყოფელისა და მათი საქმიანობის შესახებ;

- გააკონტროლოს თუ როგორ ასრულებენ დროებითი შტატის სამეთაურო თანამდებობაზე დანიშნული იუნკერები დაკისრებულ მოვალეობას;
- საჭიროების მიხედვით კონსულტაცია გაუწიოს დაქვემდებარებულ პირად შემადგენლობას;
- ოცეულში მომხდარი ყველა შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ მოახსენოს იუნკერ ასეულის მეთაურს.

დ) დამატებითი ფუნქციონალური მოვალეობები:

- არ აქვს.

„დამტკიცებულია“

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის

„___“ „_____“ 2019 წ. N _____ ბრძანებით

**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
სასწავლო ბატალიონის დროებითი შტატის იუნკერი ოცეულის სერჟანტის
ფუნქციონალური მოვალეობები**

ა) ძირითადი ფუნქციონალური მოვალეობები:

- იცოდეს ოცეულის ყველა იუნკერის სახელი გვარი, დაბადების წელი, ოჯახური მდგომარეობა, პირადი თვისებები, წარმატებები და ნაკლოვანებები საბრძოლო მომზადებაში;
- უხელმძღვანელოს დილის დათვალიერებას და პერიოდულად დაესწროს საღამოს შემოწმებას;
- აკონტროლოს იუნკერთა გარეგანი იერი და სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ტარების წესების დაცვა;
- აკონტროლოს პირადი შემადგენლობის მიერ სამხედრო დისციპლინის დაცვა;
- განლაგებიდან დათხოვნისას შეამოწმოს პირადი შემადგენლობა, დააზუსტოს გამოძახების საშუალებები, იციან თუ არა საზოგადოებრივ ადგილებში ქცევის წესები და დაბრუნების ვადები;
- ოცეულის საცხოვრებელში აკონტროლოს სისუფთავე და წესრიგი;
- ყოველდღიურ კოორდინაციაში იყოს იუნკერ ასეულის სერჟანტთან და კურსის სერჟანტთან;
- იცოდეს თავისი პირადი შემადგენლობის ადგილსამყოფელი.
- კონტროლი გაუწიოს იუნკერების მხრიდან დღის განრიგის შესრულებას;

ბ) იუნკერი ოცეულის სერჟანტი პასუხისმგებელია:

- ოცეულის პირადი შემადგენლობის მიერ სამხედრო დისციპლინის დაცვაზე;
- ზემდგომი მეთაურებისა ბრძანებების შესრულებაზე;
- ოცეულის პირადი შემადგენლობის მიერ სამხედრო წესდებების, ეროვნული თავდაცვის აკადემიისა და სასწავლო ბატალიონის შიდა რეგულაციების განუხრელად დაცვაზე.

გ) იუნკერი ოცეულის სერჟანტი ვალდებულია:

- კონტროლი გაუწიოს ოცეულის ფიზიკურ მომზადებასა და სპორტული ღონისძიებების დროულ და ხარისხიან ჩატარებას;
- საჭიროების შემთხვევაში დახმარება აღმოუჩინოს დაქვემდებარებულ იუნკერ ათეულის მეთაურებს.
- იუნკერ ოცეულის მეთაურთან კოორდინირებით კონტროლი გაუწიოს ოცეულში დაგეგმილ ღონისძიებებსა და აქტივობებს
- ოცეულში მომხდარი შემთხვევები დაუყოვნებლივ მოახსენოს იუნკერ ოცეულის მეთაურს და იუნკერ ასეულის სერჟანტს;

დ) დამატებითი ფუნქციონალური მოვალეობები:

- იუნკერი ასეულის სერჟანტის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს იუნკერი ასეულის სერჟანტის მოვალეობას (კურსის ხელმძღვანელობის მითითებით).

„დამტკიცებულია“

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის

„___“ „_____“ 2019 წ. N _____ ბრძანებით

**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
სასწავლო ბატალიონის დროებითი შტატის იუნკერი ათეულის მეთაურის
ფუნქციონალური მოვალეობები**

ა) ძირითადი ფუნქციონალური მოვალეობები:

- უხელმძღვანელოს ათეულს;
- იცნობდეს ათეულის თითოეულ იუნკერს, იცოდეს მისი სახელი და გვარი, დაბადების
წელი, პირადი თვისებები, ოჯახური მდგომარეობა, თითოეულის წარმატებები და
ნაკლოვანებები როგორც საბრძოლო მომზადებაში, ასევე აკადემიურ მოსწრებაში;
- იზრუნოს დაქვემდებარებული იუნკერებისთვის;
- მოსთხოვოს დაქვემდებარებულებს დისციპლინის დაცვა.

ბ) იუნკერი ათეულის მეთაური პასუხისმგებელია :

- იუნკერთა ათეულზე დასმული დავალებების (ამოცანების) შესრულებასა და
კონტროლზე;
- ათეულის იუნკერების მიერ ფუნქციონალური მოვალეობის შესრულების
კონტროლზე;
- ათეულის მიერ დღის განრიგის დაცვის კონტროლზე;
- ათეულის პირადი შემადგენლობის მიერ სამხედრო წესდებების, ეროვნული
თავდაცვის აკადემიისა და ბატალიონის შიდა რეგულაციების განუხრელად
დაცვაზე;
- აღჭურვილობის სწორად მორგების და გამართულობის დაცვის კონტროლზე;
- ათეულის საცხოვრებელი ოთახების მოწესრიგებულობაზე;

გ) იუნკერი ათეულის სერჟანტი ვალდებულია:

- იცოდეს თავისი პირადი შემადგენლობის ადგილსამყოფელი.
- ათეულში მომხდარი შემთხვევები დაუყოვნებლივ მოახსენოს იუნკერ ოცეულის
სერჟანტს და იუნკერ ოცეულის მეთაურს;

დ) დამატებითი ფუნქციონალური მოვალეობები:

- იუნკერი ოცეულის სერჟანტის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს იუნკერი ოცეულის
სერჟანტის მოვალეობას (კურსის ხელმძღვანელობის მითითებით).

იუნკერთა ფიზიკური მომზადების ჩატარების პროგრამა

2019 წელი

მუხლი 1. ფიზიკური მომზადების ჩატარება

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) სასწავლო ბატალიონში დღის განრიგის შესაბამისად ტარდება იუნკერთა ფიზიკური მომზადება, რომელსაც ატარებს დროებით სამეთაურო შტატზე დანიშნული იუნკერი.

მუხლი 2. იუნკერთა ფიზიკური მომზადების ჩატარების პროგრამის მიზანი

იუნკერთა ფიზიკური მომზადების ჩატარების პროგრამის მიზანია დროებით სამეთაურო შტატზე დანიშნულმა იუნკერებმა შეიძინონ ფიზიკური მომზადების ჩატარების პრაქტიკული გამოცდილება, გამოიმუშაონ პირადი შემადგენლობის მართვის, დროის კონტროლისა და სწორი კომუნიკაციის უნარები.

მუხლი 3. იუნკერთა ფიზიკური მომზადების ჩატარების პროგრამის შედეგი

ფიზიკური მომზადების ჩატარებელმა იუნკერმა:

1. შეიძინა ფიზიკური მომზადების ჩატარების პრაქტიკული გამოცდილება;
2. დახვეწა პირად შემადგენლობასთან სწორი კომუნიკაციის უნარები;
3. გამოიმუშავა და დახვეწა პირადი შემადგენლობის მართვის უნარები;
4. გამოიმუშავა მეტი თავდაჯერებულობა პირად შემადგენლობასთან მუშაობისას.

მუხლი 4. ფიზიკური მომზადების ჩატარების წესი

1. ფიზიკური მომზადება მოიცავს როგორც ფიზიკურ ვარჯიშებს, ისე დაბრკოლებათა ბოლის გადალახვას.

2. ფიზიკური მომზადება ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით სავალდებულოა ყველა იუნკერისთვის;

3. ფიზიკური მომზადების დონის დასადგენ ნორმატივებში 270 და მეტი ქულის მიღების შემთხვევაში, კურსის უფროსის გადაწყვეტილებით, იუნკერს ეძლევა საშუალება ივარჯიშოს დამოუკიდებლად;

4. იუნკერი ფიზიკური მომზადებისგან თავისუფლდება:

ა) ავადმყოფობის გამო (ლაზარეთის/სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის ექიმის გათავისუფლების შემთხვევაში);

ბ) დათხოვნაში/შვებულებაში ყოფნის დროს;

გ) სავალდებულო სწავლებაზე ყოფნის დროს;

დ) შუალედური და დასკვნითი გამოცდების წინა და გამოცდების კვირას;

ე) ფიზიკური მომზადების დონის დასადგენი ტესტირების წინა დღეს;

ვ) რაიმე სახის სოციალური, კულტურული და სპორტული ღონისძიების დროს.

3. ფიზიკურ მომზადებაზე იუნკერთა დასწრება აღირიცხება „ფიზიკურ მომზადებაზე იუნკერთა პირადი შემადგენლობის დასწრების ჟურნალში“ (დანართი 1).

მუხლი 5. ფიზიკური მომზადების ჩატარების შეფასება.

1. იუნკერის მიერ ნებისმიერი ფიზიკური მომზადების ჩატარება შეფასდება ფიზიკური მომზადების ჩატარების ინსტრუქციის მიხედვით (დანართი № 2) და შეტანილი იქნება ფიზიკური მომზადების ჩატარების შეფასების უურნალში (დანართი № 3).
2. ფიზიკური მომზადების ჩამტარებელი იუნკერის აღნიშნული დოკუმენტით მიღებული შედეგი გათვალისწინებული იქნება დროებით შტატზე დანიშნული იუნკერის შეფასების ფურცელში.
3. ფიზიკური მომზადების ჩამტარებელი იუნკერის შეფასებაზე პასუხისმგებელია კურსის ოფიცერთა და სერჟანტთა პირადი შემადგენლობა.
4. ფიზიკური მომზადების ჩატარების შემდეგ შემფასებელი პირი მიუთითებს ფიზიკური მომზადების ჩამტარებელ იუნკერს ხარვეზების შესახებ და აძლევს რეკომენდაციებს მათი აღმოფხვრის მიზნით.

ფიზიკურ მომზადებაზე იუნკერთა პირადი შემადგენლობის დასწრების ჟურნალი

თვე: _____

N	სახელი, მამის სახელი, გვარი	თარიღი																														იუნკერის ხელმოწერა
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	
1																																
2																																
3																																
4																																
5																																
6																																
7																																
8																																
9																																
10																																
11																																
12																																
13																																
14																																
15																																
16																																
17																																
18																																
19																																
20																																
21																																
22																																
23																																
24																																
25																																
26																																
27																																

შენიშვნა: გ-განთავისუფლება; ლ-ლაზარეთი; შ-შვებულება; მ-მივლინება; დ-დათხოვნა; ჰ-ჰოსპიტალი;

კურსის უფროსის ხელმოწერა: _____

თარიღი: /----/----/-----/

(დღე/თვე/წელი)

ფიზიკური მომზადების ჩამტარებელი იუნკერის შეფასების ინსტრუქცია

N	სამხედრო მოსამსახურის პიროვნული და პროფესიული თვისებები		ქულა
1	მართვის უნარი	აქვს პირადი შემადგენლობის მართვის დაბალი უნარი	1
		აქვს მცირე ხარვეზები პირადი შემადგენლობის მართვაში	2
		ეფექტურად მართავს პირად შემადგენლობას	3
2	დროის კონტროლი	ვერ უზრუნველყოფს პ/შ-ის ვარჯიშის ადგილზე გამოცხადებას, უჭირს ვარჯიშის დროის კონტროლი	1
		უზრუნველყოფს პ/შ-ის ვარჯიშის ადგილზე დროულ გამოცხადებას. აქვს მცირე ხარვეზები ვარჯიშის დროის კონტროლში	2
		უზრუნველყოფს პ/შ-ის ვარჯიშის ადგილზე დროულ გამოცხადებას. ზუსტად და დროულად ასრულებს ყველა ვარჯიშს.	3
3	ვარჯიშის დისციპლინის დაცვა	უჭირს ვარჯიშების თანამიმდევრობის დაცვა.	1
		აქვს მცირე ხარვეზები სავარჯიშოების თანამიმდევრობის დაცვასა და შესრულების ხარისხში	2
		ზედმიწვევით ზუსტად იცავს სავარჯიშოების თანამიმდევრობას და შესრულების ხარისხს	3
4	კომუნიკაბელურობა	უჭირს სწორი კომანდების გაცემა. არ აქვს სამეთაურო ხმა	1
		ხარვეზები აქვს კომანდების გაცემისას. გასაუმჯობესებელი აქვს სამეთაურო ხმა	2
		გასცემს ზედმიწვევით ზუსტ კომანდებს. აქვს კარგი სამეთაურო ხმა	3

ფიზიკური მომზადების ჩამტარებელი იუნკერის შეფასების ჟურნალი

თვე: -----

თარიღი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30
სახელი, გვარი და მამის სახელი																														
მართვის უნარი																														
დროის კონტროლი																														
ვარჯიშის დისციპლინების დაცვა																														
კომუნიკაბელურობა																														
ჯამი																														
იუნკერის ხელმოწერა																														
შემფასებელი პირის ხელმოწერა																														

კურსის უფროსის ხელმოწერა: -----

თარიღი: /----/----/-----/

(დღე/თვე/წელი)

მარშების განხორციელების პროგრამა

2019 წელი

მუხლი 1. მარშების განხორციელების პროგრამა

1. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) სასწავლო ბატალიონის (შემდგომში - ბატალიონი) ყველა კურსისთვის დამოუკიდებლად ან ბატალიონის შემადგენლობაში ტარდება ადმინისტრაციული მარშები (შემდგომში - მარში).

მუხლი 2. მარშების განხორციელების პროგრამის მიზანი

ადმინისტრაციული მარშების ჩატარება ემსახურება იუნკერის ფიზიკური გამძლეობის, ფსიქოლოგიური მდგრადობისა და გუნდური მუშაობის განვითარებას, სამეთაურო თანამდებობებზე დანიშნული იუნკერების მართვის უნარ-ჩვევების გამყარებას.

მუხლი 3. მარშების განხორციელების პროგრამის შედეგი

1. იუნკერს განუმტკიცდა ფიზიკური გამძლეობა და ფსიქოლოგიური მდგრადობა;
2. იუნკერს ჩამოუყალიბდა გუნდური მუშაობის პრინციპი;
3. იუნკერს გაუღრმავდა პირადი შემადგენლობის მართვის უნარ-ჩვევები;

მუხლი 4. ადმინისტრაციული მარშების ორგანიზება

1. სემესტრის განმავლობაში იუნკერთა კურსებს ჩაუტარდება 6 (ექვსი) მარში წინასწარ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად (დანართი N1);
2. მარშების მანძილი და დრო განისაზღვრება:
 - I მარში: მანძილი - 10 კმ, დრო - 100 წთ;
 - II მარში: მანძილი - 15 კმ, დრო - 150 წთ;
 - III მარში: მანძილი - 20 კმ, დრო - 200 წთ;
 - IV მარში: მანძილი - 20 კმ, დრო - 200 წთ;
 - V მარში: მანძილი - 25 კმ, დრო - 250 წთ;
 - VI მარში: მანძილი - 30 კმ, დრო - 300 წთ;
